პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

# კანონთა და განკარგულებათა კრებული

1928 წ.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის გამოცემა

1928 წ. მარტის 27 — № 3 — ნაწილი პირველი

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

### ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

18. დადგენილება № 10 ც. ა. კ.—ქალაქის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება ქალაქის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების შესახებ.

19. დადგენილება № 11 ც. ა. კ.—საბჭოების საუკეთესო სექციათა კონკურსის განხორციელების წესის შესახებ.

20. დადგენილება № 12 ც. ა. კ.—21 ცალკე მესანგრე ათასეულის დაჯილდოების შესახებ.

21. დადგენილება № 13 ც. ა. კ. და ს. კ. ს.—სისხლის სამართლის კოდექსის 143 მუხლის შევსების შესახებ.

### სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი:

22. დადგენილება ს. კ. ს.—სასესხო პროცენტის უკიდურესი ნორმის შესახებ.

23. დადგენილება ს. კ. ს.—1928 წ. მარტის 6-დან ივნისის 1-დე მდ. მტკვარში ორაგულის დაჭერის აკრძალვის შესახებ.

24. დადგენილება ს. კ. ს.—1928 წ. გაზაფხულზე მოსალოდნელ წყალდიდობისა და მის შედეგებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

25. დადგენილება ს. კ. ს.—სამუშაო საათების განმავლობაში თათბირებისა და კრებების მოწვევის აკრძალვის შესახებ.

26. დადგენილება ს. კ. ს.—„ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების დებულების" 29 მუხლის შეცვლის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

## 18. დადგენილება № 10 ც. ა. კ.

(მე-IV მოწვევის სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-3 სესიისა).

**ქალაქის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების დებულების დამტკიცების შესახებ.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს მთლად საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამასთანავე დართული დებულება ქალაქის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების შესახებ.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული დებულების შემოღების დღიდან გაუქმებულ იქნეს: ა) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1926 წლის ივლისის 17-ს დამტკიცებული დებულება სამაზრო ქალაქის საბჭოების შესახებ და ბ) სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1927 წლის მარტის 15-ს დამტკიცებული დებულება ტფილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს შესახებ.

3. იმავე დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს 2—6 და 10—12 მუხლები სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1927 წლის იანვრის 25-ის დადგენილებისა—საქართველოს სსრ ქალაქის საბჭოების შესახებ.

აღნიშნული დადგენილების მე-8 მუხლს შემდგომ სიტყვებისა: „ოზურგეთში, სენაკში, ზუგდიდში“ დაემატოს სიტყვა: „ზესტაფონში“, ხოლო იმავე დადგენილების მე-9 მუხლიდან ამოიშალოს სიტყვა: „ზესტაფონის“.

4. წინადადება მიეცეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმსა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს შეიტანონ მომქმედ კანონმდებლობაში სათანადო ცვლილებანი ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული დებულების თანახმად.

5. წინადადება მიეცეს აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და აჭარისტანის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეიტანონ აღნიშნული რესპუბლიკების კანონმდებლობაში ის ცვლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებანი, რაც ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული დებულებიდან გამომდინარეობს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრ.
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **შ. მათიკაშვილი.**

1928 წ. იანვრის 29.
ქ. ბათომი.

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### ქალაქის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების შესახებ.

### თ ა ვ ი I.

**ზოგადი დებულებანი.**

1\. ქალაქის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოები ქვემოაღნიშნულ მუხლებით გათვალისწინებულ საფუძველზე მოეწყობა ქალაქ ტფილისში, ბათომში, სოხუმში, ქუთაისში, გორში, ფოთში, ჭიათურაში, ხაშურში, ბორჯომში და სამტრედიაში.

**შენიშვნა.** სამაზრო ქალაქ თელავში, სიღნაღში, დუშეთში, ახალციხეში, ლიუქსემბურგში, ახალქალაქში, ზესტაფონში, ოზურგეთში, სენაკში, ზუგდიდში, ონში, დაბა ცაგერში და აგრეთვე ქალაქ შაუმიანში და ხონში მოეწყობიან სათემო საბჭოები სათემო საბჭოებისა და სათემო აღმასრულებელი კომიტეტების დებულების თანახმად.

2\. ქალაქის საბჭო თავისი გამგებლობის ფარგლებში სათანადო ქალაქის ტერიტორიაზე არის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო და აერთიანებს მთლად მშრომელ მოსახლეობას ადგილობრივ და სახელმწიფო მმართველობისა და აღმშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად.

3\. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-69 მუხ. მიხედვით, ქალაქის საბჭოს მიზანს შეადგენს:

ა) ქალაქის კულტურული და სამეურნეო განვითარება და მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება;

ბ) ხელისუფლების სათანადო უმაღლესი ორგანოების დადგენილებათა განხორციელება;

გ) ყველა იმ საკითხის გადაწყვეტა, რასაც სათანადო ქალაქისათვის ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს;

დ) ქალაქის საბჭოს ყველა ქვემდებარე დაწესებულების მოქმედების გაერთიანება და ხელმძღვანელობა;

ე) ქალაქის ფარგლებში რევოლიუციონური კანონიერების განხორციელების უზრუნველყოფა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) ქალაქის ტერიტორიაზე სახელმწიფოებრივი წესრიგის და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვა;

ზ) საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხების განხილვა როგორც საკუთარი თაოსნობით, ისე ხელისუფლების ზემდგომ ორგანოთა წინადადებით;

თ) შედგენა, განხილვა, დამტკიცება და შესრულება ქალაქის ბიუჯეტისა, აგრეთვე დამტკიცება ანგარიშისა ამ ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

4. ქალაქის საბჭოს აქვს იურიდიული პირის უფლებანი.

5. უფლება აირჩიოს ქალაქის საბჭოში და თვით იქნეს არჩეული ამ საბჭოში ეკუთვნის ყველა მოქალაქეს, ვისაც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად საარჩევნო უფლება აქვს.

6. ქალაქის საბჭო აირჩევა შემდეგი ანგარიშით: ქ. ტფილისში—ერთი დეპუტატი 200 ამომრჩეველზე, ქ. ქუთაისში—ერთი დეპუტატი 150 ამომრჩეველზე, ქ. ბათომში - ერთი დეპუტატი 100 ამომრჩეველზე, ქალაქ სოხუმში, ფოთში, გორში, ჭიათურაში, ხაშურში, ბორჯომში და სამტრედიაში—ერთი დეპუტატი 50 ამომრჩეველზე.

უკეთუ ამა თუ იმ საარჩევნო უბანში სრული საარჩევნო ნორმების გარდა აღმოჩნდება კიდევ ამომრჩეველთა განსაზღვრული რაოდენობა, რომელიც თუმცა აღნიშნულ საარჩევნო ნორმას ვერ აღწევს, მაგრამ სათანადო საარჩევნო ნორმის ნახევარზე ნაკლები არ არის, საბჭოში აირჩევა დამატებითი დეპუტატი.

**შენიშვნა 1.** ის საწარმო, სადაც ამომრჩეველთა რიცხვი თუმცა სრულ საარჩევნო ნორმას არ შეადგენს, მაგრამ ამ ნორმის 50%-ს აღწევს, აირჩევს საბჭოში ერთ დეპუტატს.

**შენიშვნა 2.** ცალკე ქალაქებისათვის საარჩევნო ნორმები შეიძლება შეცვლილ იქნეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით.

7. ქალაქის საბჭოს არჩევნები მოხდება თანახმად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ინსტრუქციისა „მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოებისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევის შესახებ“.

8. ქალაქის საბჭოს ცალკე დეპუტატები გამოირიცხებიან საბჭოს შედგენილობიდან:

ა) იმ საარჩევნო კრების ამომრჩეველთა დადგენილებით დეპუტატის უკან გაწვევის შესახებ, რომელმაც აირჩია უწყებული დეპუტატი;

ბ) დეპუტატის საკუთარი სურვილით, რასაც დეპუტატი განუცხადებს თავის ამომრჩევლებს ან ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმს;

გ) უკეთუ დეპუტატი დაჰკარგავს საარჩევნო უფლებას საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის კონსტიტუციის 93 მუხ. თანახმად.

**შენიშვნა.** ცალკე წევრების გამოსვლის შემდეგ საბჭოს შედგენილობიდან საბჭო დანიშნავს ნაწილობრივ ხელახლა არჩევნებს შესაფერ საარჩევნო უბნებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. ქალაქის საბჭო აირჩევა ერთი წლის ვადით.

**შენიშვნა.** საბჭოს მთელი შედგენილობის არჩევა ვადის გასვლამდე მოხდება ზემდგომი საბჭოთა ყრილობისა და აღმასრულებელი კომიტეტის წინადადებით, ან იმ შემთხვევაში, უკეთუ საბჭოდან გამოვა ყველა წევრთა არა ნაკლებ ნახევრისა.

10. ქალაქის საბჭო პასუხისმგებელია ზემდგომი საბჭოთა ყრილობისა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე და აგრეთვე სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წინაშე.

**შენიშვნა.** უკეთუ ქალაქის საბჭო ზემდგომი აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებას არ დაეთანხმება, მას უფლება აქვს გადასცეს საკითხი საბჭოთა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს—რიგის მიხედვით, ხოლო იგი ვერ შეაჩერებს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების შესრულებას.

11. ქალაქის საბჭოს აქვს ბეჭედი დადგენილი სახისა, სახელმწიფო ღერბის გამოხატულებით.

## თ ა ვ ი II.

### ქალაქის საბჭოს გამგებლობის საგანი.

12. ქალაქის საბჭოს მთლად თავის მოქმედებაში განუწყვეტელი კავშირი უნდა ჰქონდეს მოსახლეობასთან, უნდა წარუდგინოს ხოლმე ამომრჩეველთა კრებას მოხსენებანი საბჭოს და საბჭოთა უმაღლესი ორგანოების მუშაობის შესახებ, მონაწილეობა უნდა მიაღებინოს ამ ამომრჩევლებს საბჭოს წინაშე მდგარი საკითხების შემუშავებაში და ჩააბას ისინი სექციებისა და კომისიების მეშვეობით საბჭოს პრაქტიკულ მუშაობაში, აგრეთვე ხელი შეუწყოს ქალაქის საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მუშაობას.

13. დაკისრებულ მოვალეობათა განხორციელებისათვის ქალაქის საბჭოს უფლება აქვს:

ა) ურთიერთ მიმართვა იქონიოს ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებთან, ზემდგომი აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით, იმ საკითხების გამო, რაც აღნიშნულ ორგანოთა მიერ სათანადო ქალაქისათვის განსახორციელებელ ღონისძიებებს შეეხება;

ბ) აღძრას შუამდგომლობა, ზემდგომი აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების მიერ სათანადო ქალაქისათვის გამოცემული დადგენილებისა და განკარგულების შეცვლის შესახებ ან ამ ქალაქისათვის ახალ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ;

გ) აღძრას, მომქმედ კანონდებულებათა თანახმად მინიჭებული უფლების ფარგლებში, დისციპლინარული დევნა ქალაქის ტერიტორიაზე მომქმედ თანამდებობის პირთა წინააღმდეგ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) მეთვალყურეობა გაუწიოს ქალაქის საბჭოსადმი არაქვემდებარე ადგილობრივი მნიშვნელობის დაწესებულებათა და საწარმოთა მოქმედებას მათ ოპერატიულ მოქმედებაში ჩაურევლად, მოისმინოს მათი მოხსენებანი და შენიშნული უკანონო და არა მიზანშეწონილი მოქმედებანი ამ დაწესებულებებისა და საწარმოებისა აცნობოს სათანადო ცენტრალურ ორგანოს და აგრეთვე, უკეთუ საჭიროება მოითხოვს, წარუდგინოს ხელისუფლების სათანადო ორგანოს განცხადება იმ თანამდებობის პირთა მოხსნის შესახებ, რომელთა გადაყენებაც ხელისუფლების ზემდგომ ორგანოზეა დამოკიდებული.

14. ქალაქის ტერიტორიაზე რევოლიუციონური კანონიერების უზრუნველყოფისა და სახელმწიფო წესრიგისა და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვისათვის ქალაქის საბჭო:

ა) გამოსცემს სავალდებულო დადგენილებებს მომქმედ კანონდებულებათა თანახმად;

ბ) მოაწყობს საბჭოთა არჩევნებისათვის საარჩევნო კომისიებს და განსაზღვრავს არჩევნების ჩატარების წესს უმაღლეს ორგანოთა მიერ ამ საგანზე გამოცემული დადგენილებებისა და ინსტრუქციების თანახმად;

გ) ჩაატარებს საბჭოთა ნაწილობრივ არჩევნებს ამა დებულების მე-8 მუხლის შენიშვნით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

დ) გადასცემს სარგებლობისათვის მორწმუნეთა ორგანიზაციებს ხელშეკრულებით კულტის შენობებს და სხვა ქონებას, რაც კულტის მიზნებს ემსახურება, საერთო მეთვალყურეობას გაუწევს ამ ხელშეკრულებათა შესრულებას და რელიგიურ ორგანიზაციათა მოქმედებას ქალაქის ფარგლებში;

ე) მეთვალყურეობას გაუწევს სახელმწიფოსაგან ეკლესიის ჩამოშორების შესახებ მომქმედი დეკრეტის დაცვას;

ვ) მიიღებს ზომებს სტიქიურ უბედურებათა (წყალდიდობა, ხანძარი და სხვა) თავიდან ასაცილებლად, მოაწყობს მათთან ბრძოლისა და დაზარალებულთათვის დახმარების აღმოჩენის საქმეს;

ზ) მიიღებს, წარმართავს და სათანადო შემთხვევაში განიხილავს საბჭოთა აპარატის ყველა ორგანოს და მომუშავის მოქმედების გამო შემოსულ საჩივარს;

თ) განაგებს დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეს;

ი) გასცემს ნებართვას ქალაქის ფარგლებში კრებებისა, თათბირებისა და კონფერენციების მოწყობისათვის ან აკრძალავს მათ;

კ) ზედამხედველობას გაუწევს ბეჭდვით სიტყვას და ყველა სანახაობას, აგრეთვე იმ საზოგადოებათა მოქმედებას, რომელნიც მოგების მიღებას არ მისდევენ, და რომელთა დამტკიცება და რეგისტრაციაც საერთო წესით სწარმოებს;

ლ) განაგებს სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრაციას;

მ) აწარმოებს ამომრჩეველთა და საარჩევნო უფლება-ჩამორთმეულ პირთა მუდმივ სიებს;

ნ) ნიშნავს უშუალოდ ან თავისი აღმასრულებელი ორგანოების მეშვეობით იმ დაწესებულებათა და საწარმოთა გამგეებს, რომელნიც ქალაქის ბიუჯეტზე ირიცხებიან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ო) თვალყურს ადევნებს, რათა მის მიერ გამოცემული სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის ადმინისტრატიული ზეგავლენის ღონისძიება სისწორით იქნეს შეფარდებული, განიხილავს საჩივრებს და სათანადო შემთხვევაში გააუქმებს ან შესცვლის, კუთვნილებისამებრ, სამაზრო ადმინისტრატიული განყოფილების უფროსის, მაზრის ან ქალაქის მილიციის უფროსის დადგენილებებს ქალაქის საბჭოს სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის ადმინისტრატიული ზეგავლენის ღონისძიების შეფარდების შესახებ.

15. სასამართლოს წყობილებისა და სამართლის წარმოების დარგში ქალაქის საბჭო:

ა) ხელს შეუწყობს რევოლიუციონური კანონიერების განხორციელებას;

ბ) აირჩევს და გაიწვევს სახალხო მოსამართლეებს, რომელნიც განაგებენ საქალაქო უბნებს, და წარუდგენს მათ დასამტკიცებლად იუსტიციის სახალხო კომისარიატს;

გ) დაამტკიცებს სახალხო გამომძიებლებს, რომელნიც საქალაქო უბნებს განაგებენ, იუსტიციის სახალხო კომისარიატის წინადადებით;

დ) დაამტკიცებს იუსტიციის სახალხო კომისარიატის წინადადებას ქალაქში სახალხო სასამართლოთა უბნების რაოდენობისა და მათი საზღვრების შესახებ;

ე) მოისმენს პროკურატურისა და სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოების მოხსენებებს მათი მოქმედების შესახებ;

ვ) მიიღებს ღონისძიებას მშრომელი მოსახლეობისათვის იურიდიული დახმარების აღმოჩენის საქმის მოსაწყობად;

ზ) დაამტკიცებს, იუსტიციის სახალხო კომისარიატის წინადადებით, ქალაქის სანოტარო კანტორების ნოტარიუსებს.

16. საფინანსო და საგადასახადო დარგში ქალაქის საბჭო:

ა) შეადგენს, განიხილავს, დაამტკიცებს და განახორციელებს ქალაქის ბიუჯეტს ადგილობრივი ფინანსების კანონმდებლობის თანახმად.

**შენიშვნა.** სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს უფლება აქვს, არა უგვიანეს ერთი თვისა ქალაქის ბიუჯეტის მიღების დღიდან, მისცეს წინადადება, რომ საჭიროა ბიუჯეტში შეტანილ იქნეს მომქმედი კანონმდებლობიდან და ხელისუფლების ზემდგომი ორგანოების დირექტივებიდან გამომდინარე ცვლილებანი; ამასთანავე ეს ცვლილებანი შეტანილ უნდა იქნეს ორი კვირის განმავლობაში საბჭოს მიერ, რომელმაც ბიუჯეტი შეადგინა.

ბ) თვალყურს ადევნებს ქალაქის ტერიტორიაზე ცენტრალური ხელისუფლების მიერ დაწესებული სახელმწიფო გადასახადებისა და გამოსაღების სისწორით განხორციელებას და ღონისძიებას მიიღებს, რათა აღნიშნული გადასახადები და გამოსაღები შედიოდეს სახელმწიფო ხაზინაში;

გ) დააწესებს და გადაახდევინებს საქალაქო გადასახადსა და გამოსაღებს იმ წესითა და იმ ფარგლებში, რაც დადგენილია მომქმედ კანონდებულებათა თანახმად;

დ) დააწესებს, ქალაქის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადების ზედნართს კანონით დადგენილ ფარგლებში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) აღძრავს შუამდგომლობას ახალი გადასახადისა და გამოსაღების დაწესების შესახებ ან და სახელმწიფო გადასახადისა და სხვა შემოსავლისაგან სათანადო ანარიცხის გადადების შესახებ;

ვ) დანიშნავს ადგილობრივი საგადასახადო დაბეგვრის საქალაქო და სამაზრო კომისიების შედგენილობაში წევრებს ქალაქის საბჭოსაგან, განიხილავს და დაამტკიცებს ამ კომისიების დადგენილებებს საქალაქო გადასახადისა და გამოსაღების საქმეების თაობაზე და გადასწყვეტს საჩივრებს სათანადო საფინანსო ორგანოების მოქმედებისა და დადგენილებების შესახებ ამ საქმეების გამო;

ზ) შექმნის სპეციალური დანიშნულების ადგილობრივ ფონდებსა და კაპიტალებს მომქმედი კანონმდებლობის ფარგლებში;

თ) მოაწყობს საკრედიტო და სესხის გამცემ დაწესებულებებს;

ი) სარგებლობს უფლებას, კანონით დადგენილ წესისამებრ, აიღოს სესხი სახელმწიფო, კოოპერატიულ და კერძო პირისაგან როგორც სსრ კავშირში, ისე საზღვარგარეთ თამასუქის ან სხვა გრძელვადიანი და მოკლევადიანი ვალდებულების გაცემით და აგრეთვე ობლიგაციის გამოშვებით;

კ) მოისმენს ანგარიშს და სარგებლობს უფლებას პროტესტი განაცხადოს ქალაქის ტერიტორიაზე მომქმედ იმ დაწესებულებათა და საწარმოთა ხარჯთაღრიცხვისა და წარმოებითი გეგმების გამო, რომელნიც ქალაქის საბჭოს არ ექვემდებარებიან.

**შენიშვნა.** ეს უფლება ვერ შეაჩერებს ხარჯთაღრიცხვის დადგენილ წესისამებრ მსვლელობას.

ლ) გადაიტანს საჭირო შემთხვევაში კრედიტს ქალაქის ბიუჯეტის ერთი მუხლიდან მეორეში ან ერთი პარაგრაფიდან მეორე პარაგრაფში, ერთი და იმავე კარის ფარგლებში, თანხის განუსაზღვრელად, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში—ერთი კარიდან მეორეში, მაგრამ გადატანილი თანხა 10%-ზე მეტი რაოდენობით არ უნდა აღემატებოდეს იმ კარის ხარჯებს, საიდანაც კრედიტის გადატანა მოხდება.

17. სამეურნეო-ეკონომიურ და სამრეწველო დარგში ქალაქის საბჭო:

ა) ჰფლობს მთლად ქალაქის საბჭოს ქონებას და განაგებს მას მომქმედი კანონმდებლობის ფარგლებში;

ბ) ეწევა ქვემდებარე საწარმოთა ექსპლოატაციას უშუალოდ ან იჯარად გაცემით და კანონით დაწესებული სხვა საშუალებით; იჯარით გაცემისას თვალყურს ადევნებს, რათა მოიჯარადრეებმა საიჯარო ხელშეკრულების ყველა პირობა პირნათლად შეასრულონ;

გ) მოაწყობს ახალ სავაჭრო და სამრეწველო ხასიათის საწარმოთ;

დ) განაგებს უმაღლესი ორგანოების ქვემდებარე საწარმოთ ამ ორგანოთა მინდობილობით;

ე) ხელს შეუწყობს ქალაქის მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებას და მოაწესრიგებს მათ მომქმედი კანონების ფარგლებში;

ვ) ყოველგვარ დახმარებას გაუწევს ყველა სახის კოოპერაციას.

18. კომუნალური მეურნეობის დარგში ქალაქის საბჭო:

ა) მიიღებს ღონისძიებას ქალაქის კეთილმოწყობის გაუმჯობესებისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მოაწყობს და განაგებს ქალაქის საბარგო და სამგზავრო ტრანსპორტს;

გ) განაგებს სახანძრო საქმეს და ხანძრის საწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელებას და ხელს შეუწყობს ცეცხლის მძლე მშენებლობის განვითარებას;

დ) განაგებს ელექტრო-სადგურებს, წყალსადენს, კანალიზაციას და საზოგადოებრივი სარგებლობის სხვა საწარმოთ;

ე) მიიღებს ღონისძიებას კომუნალური მშენებლობისა, კერძოდ, საბინაო მშენებლობის განსავითარებლად და მოაწესრიგებს საბინაო საქმეს, რისთვისაც მომქმედ კანონმდებლობის ფარგლებში განაგებს საცხოვრებელ სივრცის სარგებლობის საქმეს;

ვ) დააწესებს მომქმედი კანონმდებლობის საფუძველზე საბინაო ქირის ნორმებს და თვალყურს ადევნებს მათ განხორციელებას;

ზ) დააწესებს ტარიფს კომუნალური მომსახურეობის სარგებლობისათვის;

თ) მოაწყობს კომუნალურ კრედიტს დამოუკიდებელი ბანკების დაარსებით ან სხვა ბანკებში მონაწილეობით.

19. საადგილ-მამულო მეურნეობის დარგში ქალაქის საბჭო:

ა) განაგებს ქალაქის მიწების ექსპლოატაციას და მათი იჯარით გაცემას;

ბ) განსაზღვრავს ქალაქის საადგილმამულო რენტის განაკვეთს არსებული კანონების თანახმად და განახორციელებს საჭირო ღონისძიებას ამ რენტის გადახდევინებისათვის;

გ) აწარმოებს საჭირო მუშაობას ქალაქის მიჯნის დასაწესებლად, მელიორაციის მოსაწყობად, ქალაქის დასაგეგმად და მიწის ნაკვეთების გასაცემად საალნაგო და სასოფლო-სამეურნეო სარგებლობისათვის;

დ) მიიღებს ღონისძიებას ქალაქის ფარგლებში სიტყეო მეურნეობის მოსაწყობად და განსავითარებლად;

ე) ხელს შეუწყობს ქალაქის ფარგლებში საქალაქო მესაქონლეობის განვითარებას და ბაღებისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების მოწყობას;

ვ) განაგებს ქალაქის სავეტერინარო-სამკურნალო და სავეტერინარო-სასანიტარო დაწესებულებათა ქსელს, რაც ადგილობრივ ბიუჯეტზე იმყოფება, და მოაწყობს ახალ სავეტერინარო-სამკურნალო და სავეტერინარო-სასანიტარო დაწესებულებებს;

ზ) ხელს შეუწყობს ქალაქის ტერიტორიაზე იმ სავეტერინარო-პროფილაქტიურ ღონისძიებათა გატარებას, რასაც ხელისუფლების ზემდგომი ორგანოები ანხორციელებენ.

20. შრომის მოწესრიგებისა და დაცვის დარგში ქალაქის საბჭო:

ა) თვალყურს ადევნებს სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო საწარმოთა ძიერ შრომის დაცვისა და ხელფასის შესახებ არსებული კანონებისა და წესების აღსრულებას და აგრეთვე კოლექტიურ და შრომის ხელშეკრულებათა და სხვ. აღსრულებას;

ბ) მოაწესრიგებს მომქმედი კანონების ფარგლებში შრომის ბაზარს და მიიღებს ღონისძიებას უმუშევრობასთან საბრძოლველად, რისთვისაც გახსნის, შრომის ორგანოებთან შეთანხმებით, შრომის ბირჟას ან საკორესპოდენტო პუნქტებს, მოაწყობს საზოგადოებრივ სამუშაოებს, საზოგადოებრივ კვებას და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) განახორციელებს სანიტარულ-ტექნიკურ ღონისძიებათ და აუმჯობესებს დაწესებულებებში და საწარმოებში შრომის პირობებს;

დ) თვალყურს ადევნებს, რათა განხორციელებულ იქნეს სოციალური დაზღვევის კანონმდებლობა და დაცულ იქნეს სოციალური დაზღვევის წესები;

ე) მოაწყობს დასვენების სახლებს;

ვ) ხელს შეუწყობს პროფესიონალურ შენაერთთა მოქმედებას.

21. სახალხო ჯანმრთელობის დარგში ქალაქის საბჭო:

ა) განაგებს ქალაქის მოსახლეობისათვის სამკურნალო და სამკურნალო-პროფილაქტიური (წინასწარ გამაფრთხილებელი) დახმარების აღმოჩენის საქმეს;

ბ) მოაწყობს ახალ სამკურნალო და სამკურნალო-პროფილაქტიურ დაწესებულებებს იმ გეგმით, რომელსაც შეიმუშავებენ ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ორგანოები ხელისუფლების ზემდგომი და ცენტრალური ორგანოების დირექტივების მიხედვით და დაამტკიცებს ქალაქის საბჭო; ეს გეგმა საბოლოო დამტკიცებისათვის უნდა წარედგინოს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს;

გ) მოაწყობს გადამდებ, სოციალურ და პროფესიონალურ ავადმყოფობასთან ბრძოლის საქმეს და ძიიღებს ღონისძიებას მისი გავრცელების თავიდან ასაცილებლად;

დ) გაუწევს ყოველგვარ დახმარებას უმაღლესი ორგანოების სამედიცინო ღონისძიებათა განხორციელების საქმეს, კერძოდ დაეხმარება ქალაქის ტერიტორიაზე მომქმედ ამ ორგანოების სამკურნალო და სასანიტარო-პროფილაქტიურ დაწესებულებას;

ე) მოაწყობს სანიტარულ ზედამხედველობას ქალაქში;

ვ) მიიღებს ღონისძიებას ქალაქის გაჯანსაღებისათვის სანიტარულ და პროფილაქტიურ ღონისძიებათა მოწყობით და განხორციელებით;

ზ) ხელს შეუწყობს მოსახლეობის ფიზიკურ განვითარებას;

თ) ხელს შეუწყობს დედათა და შვილთა დაცვის საქმეს;

ი) მოაწყობს და განაგებს საბავშვო ბაღებს, ბაგებს, მოედნებს და სხვ.

22. სოციალურ უზრუნველყოფის დარგში ქალაქის საბჭო:

ა) განაგებს სოციალური უზრუნველყოფის ყველა დაწესებულებას, რომელიც ქალაქის ბიუჯეტზე იმყოფება;

ბ) აღმოუჩენს დახმარებას ფრონტზე ან სამსახურის მოვალეობის აღსრულების დროს მოკლულ წითელარმიელთა გაჭირვებულ ოჯახებს, განსაკუთრებით იმ ოჯახებს, რომელთაც არა ჰყავთ შრომის უნარიანი წევრი და არა აქვთ მეურნეობიდან ან რაიმე ხელობიდან შემოსავალი;

გ) ხელს შეუწყობს ინვალიდთა კოოპერატივის მოწყობას;

დ) ხელს შეუწყობს საქალაქო ურთიერთ დამხმარე საზოგადოებათა და დახმარების საზოგადოებათა მოწყობას;

ე) აღმოუჩენს დახმარებას ომისა და შრომის ინვალიდებს და მათ ოჯახებს, აგრეთვე ღრმა მოხუცებულთ და შრომის უნარ-დაკარგულთ;

ვ) მოაწყობს და შეინახავს ინვალიდთა სახლებს;

ზ) დანიშნავს და მოხსნის ობლებისა და არაქმედობუნარიან პირთა მეურვეობას და მზრუნველობას იმ წესით, რაც დადგენილია ოჯახისა, მეურვეობისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქორწინებისა და სამოქალაქო მდგომარეობის აქტების კანონთა კოდექსის და-ნიშნავს და მოხსნის მზრუნველობას ქონებაზე და აგრეთვე გაუწევს ზედამხედველობას მეურვეთა და მზრუნველთა მოქმედებას და შეამოწმებს მეურვეობაში მყოფ პირთა ქონებას.

23. კულტურულ-განმანათლებელ დარგში ქალაქის საბჭო:

ა) განაგებს კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა ქსელს, რაც ქალაქის ბიუჯეტზე იმყოფება;

ბ) დაამტკიცებს ქალაქის კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა ქსელს;

გ) მოაწყობს ახალ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებს (სკოლებს, კურსებს, კლუბებს, მუზეუმებს, ბიბლიოთეკებს, სამკითხველოებს, თეატრებს და სხვ.) დამტკიცებული ქსელის ფარგლებში;

დ) მიიღებს ღონისძიებას სახალხო განათლების დაწესებულებათა მოსწავლეების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, კერძოდ, მატერიალური და სხვა დახმარების აღმოსაჩენად ღარიბეს მშრომელთა ბავშვებისათვის, რათა ამ უკანასკნელთ მიეცეთ ფაქტიური შესაძლებლობა სკოლაში სიარულისა;

ე) მიიღებს ყოველგვარ ღონისძიებას ქალაქის მოსახლეობის კულტურული და პოლიტიკური დონის ასამაღლებლად, რისთვისაც მოაწყობს და შეინახავს საერთო და სპეციალურ სასწავლებლებს, კურსებს და სხვ., გახსნის და შეინახავს წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირე-ცოდნის სალიკვიდაციო სკოლებს, კლუბებს, სამკითხველოებს, ბიბლიოთეკებს, მუზეუმებს, თეატრებს და სხვა პოლიტიკურ-განმანათლებელ დაწესებულებებს;

ვ) აღმოუჩენს დახმარებას უპატრონო ბავშვებს, მოაწყობს და შეინახავს ბავშვთა სახლებს;

ზ) მიიღებს ღონისძიებას სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დასაცავად;

თ) ხელს შეუწყობს სამეცნიერო და კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა განვითარებას.

24. სამხედრო დარგში ქალაქის საბჭო:

ა) განახორციელებს საჭირო ღონისძიებათ სამხედრო ნაწილთა დასაბინავებლად და მათთვის კომუნალური მომსახურეობის გასაწევად მომქმედი კანონების წესისამებრ;

ბ) ყოველგვარ დახმარებას გაუწევს რესპუბლიკის თავდაცვის საქმის გაძლიერებას, მუშათა და გლეხთა წითელი არმიის და ფლოტისა, საჰაერო ძალებისა, ქიმიური თავდაცვისა და სხვ. განვითარებისათვის ხელის შეწყობით, კერძოდ ამ მუშაობაში საბჭოთა საზოგადობრივობის ჩაბმით და სათანადო საზოგადოებრივი ორგანიზაციების (თავდაცვა-ავიოქიმის საზოგადოება და სხვ.) განვითარებისათვის ხელის შეწყობით;

გ) დახმარებას გაუწევს სამხედრო დაწესებულებებს წვევამდელთა მომზადებისა, ტერიტორიალური შეკრებისა, სამხედრო აღრიცხვისა, მორიგი გაწვევისა და მუშათა და გლეხთა წითელი არმიიდან და ფლოტიდან დათხოვნის საქმის განხორციელებაში და სხვ.;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) მიიღებს ღონისძიებას ყველა იმ შეღავათის განსახორციელებლად, რაც გათვალისწინებულია სამხედრო მსახურთა და მათ ოჯახთა შეღავათებისა და უპირატესობის კანონთა კოდექსით, განსაკუთრებით სამხედრო მსახურთა და მათი ოჯახის წევრთათვის სამკურნალო-სასანიტარო დახმარების გაწევის დარგში;

ე) მიიღებს ღონისძიებას, რათა მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა და ფლოტის უფროსთა შედგენილობა უზრუნველყოფილ იქნეს საჭირო ბინით.

25. ეროვნული პოლიტიკის განხორციელების დარგში ქალაქის საბჭო:

ა) განახორციელებს საბჭოთა ხელისუფლების ეროვნულ პოლიტიკის პრინციპებს მომქმედ კანონდებულებათა და ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების დირექტივების თანახმად;

ბ) ხელმძღვანელობას გაუწევს ეროვნულ უმცირესობათათვის მომსახურეობის გასაწევად საჭირო მუშაობას და ხელს შეუწყობს ეროვნულ უმცირესობათა კულტურის განვითარებას.

## თავი III.

### ქალაქის საბჭოს პლენუმი.

26. ქალაქის საბჭოს ახალი შედგენილობის პირველ პლენუმს მოიწვევს სათანადო საარჩევნო კომისია არჩევნების გეგმით დაწესებულ ვადაზე; პლენუმს გახსნის საარჩევნო კომისიის წარმომადგენელი.

27. ქალაქის საბჭოს პირველი პლენუმი აირჩევს საბჭოს პრეზიდიუმს და საბჭოს თავმჯდომარეს, აგრეთვე სამანდატო კომისიას და მოისმენს საარჩევნო კომისიის ანგარიშს.

**შენიშვნა 1.** სამანდატო კომისია შეამოწმებს დეპუტატების რწმუნება-მოსილებას და შემოწმების შედეგების შესახებ მოხსენებას წარუდგენს საბჭოს პლენუმს.

**შენიშვნა 2.** შემდეგში საბჭოს პლენარულ სხდომებს მოიწვევს საბჭოს პრეზიდიუმი.

28. ქალაქის საბჭოს პლენუმი მორიგი სხდომისათვის მოიწვევა თვეში ერთხელ მაინც: არაჩვეულებრივი სხდომა მოიწვევა საბჭოს პრეზიდიუმის შეხედულებისამებრ ან საბჭოს წევრთა საერთო რიცხვის არანაკლებ $^1/_3$-დის მოთხოვნით.

29. ქალაქის საბჭოს პლენუმის ყველა სხდომა საჯაროა და მას შეიძლება დაესწროს მშრომელი მოსახლეობის ფართო წრეები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ქალაქის საბჭოს ან მისი პრეზიდიუმის დადგენილებით სხდომა დახურულად იქნება გამოცხადებული.

30. ქალაქის საბჭოს პლენუმის სხდომა შეძლებისდაგვარად მშრომელ მოსახლეობასთან ახლო უნდა მოეწყოს: ფაბრიკაში, ქარხანაში, პროფესიონალურ კავშირების კლუბებში და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხდომის დრო და ადგილი და აგრეთვე დღის წესრიგი გამოქვეყნდება საყოველთაო ცნობისათვის სხდომამდე სამი დღით ადრე.

31. საბჭოს სხდომაში გადამწყვეტი ხმის უფლება აქვს მხოლოდ საბჭოს წევრს.

32. სხდომაში მონაწილეობისათვის საბჭო მოიწვევს სათათბირო ხმის უფლებით ქალაქის განყოფილებათა გამგეებს და სათანადო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილების გამგეებს და ინსპექტორებს, აგრეთვე, ფაქტიური შესაძლებლობისდაგვარად—საქარხნო-საფაბრიკო და ადგილობრივი კომიტეტებისა, პროფესიონალური კავშირებისა, წითელი არმიისა, ქალთა სადელეგატო კრებებისა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლებსა და წევრებს და ამომრჩევლებს.

33. შემდეგი საკითხების გადაწყვეტა შეუძლიან მხოლოდ ქალაქის საბჭოს პლენუმს:

ა) ქალაქის ბიუჯეტისა, სესხისა და ბიუჯეტის შესრულების შესახებ შედგენილი ანგარიშის დამტკიცება;

ბ) ქალაქის ბიუჯეტის კრედიტების ერთი კარიდან მეორეში გადატანა (მე-16 მუხ., პუნქ. „ლ“);

გ) საბჭოთა ყრილობებისათვის დელეგატების არჩევა;

დ) ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმის წევრებისა და სამანდატო კომისიის არჩევა და ვადის გასვლამდე პრეზიდიუმის წევრების არჩევა;

ე) ქალაქის საბჭოს სექციათა რიცხვის განსაზღვრა, სექციათა შორის მუშაობის განაწილების დამტკიცება და საბჭოს წევრთა სექციებს შორის განაწილება;

ვ) პლენუმის მუშაობის გეგმების დამტკიცება;

ზ) კულტურულ-განმანათლებელ, სამკურნალო და სამკურნალო-პროფილაქტიურ დაწესებულებათა ქსელის დამტკიცება;

თ) ქალაქის იმ სავალდებულო დადგენილებათა პროექტების დამტკიცება, რომელთაც განსაკუთრებით უაღრესი მნიშვნელობა აქვთ.

34. გარდა იმ საკითხებისა, რაც ქალაქის საბჭოს პლენუმის განსაკუთრებული გამგებლობის საგანს შეადგენს და რაც ამა დებულების 33 მუხლშია გათვალისწინებული, ქალაქის საბჭოს პლენუმი განიხილავს:

ა) მოხსენებას საქალაქო მეურნეობისა და მმართველობის ყოველგვარი საკითხის შესახებ;

ბ) ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმის ანგარიშს;

გ) სამანდატო კომისიის მოხსენებას;

დ) საბჭოს სექციების მოხსენებას;

ე) სამაზრო და საქალაქო განყოფილებათა გამგეებისა და ინსპექტორების მოხსენებასა და ანგარიშს მათ მიერ წარმოებული საქალაქო მუშაობის შესახებ; ამასთანავე მისცემს მათ სადირექტივო განმარტებას ხსენებული მუშაობის დარგში და გააუქმებს მათ დადგენილებებს, რაც ამ დირექტივებს არ შეეფერება;

ვ) მთავრობის წარმომადგენელის ან ზემდგომი აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელთა მოხსენებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ) სხვა საკითხებს, რაც ქალაქის მართვა-გამგეობას შეეხება და რის განხილვასაც პლენუმი საჭიროდ დაინახავს.

35. ამა დებულების 33 და 34 მუხ. გათვალისწინებულ საკითხისაგან დამოუკიდებლად ქალაქის საბჭოს პლენარულ სხდომაზე შეუძლიან განიხილოს, როგორც საკუთარი ინიციატივით, ისე ზემდგომი აღმასრულებელი კომიტეტის წინადადებით, ყველა საკითხი საერთო-სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა და აგრეთვე საერთო-პოლიტიკური ხასიათისა.

36. რათა დეპუტატები გაეცნონ საბჭოს პლენარულ სხდომაზე განსახილველი საკითხების შინაარს, საამისოდ საჭირო მასალა თავის დროზე უნდა დაეგზავნოს საბჭოს წევრებს წერილობით ან ეს მასალა უნდა გამოქვეყნდეს პრესაში.

37. პლენუმის სხდომა კანონიერია, უკეთუ მას დაესწრება წევრთა რიცხვის ნახევარი მაინც.

**შენიშვნა.** ეს ნორმა სავალდებულოა არა მარტო სხდომის გასახსნელად, არამედ მთლად იმ დროის განმავლობაში, როცა სხდომა მუშაობს.

## თავი IV.

### ქალაქის საბჭოს აღმასრულებელი ორგანოები.

38. ქალაქის საბჭოს მუშაობის წარმოებისათვის და საქალაქო მეურნეობის მმართველობისათვის ქალაქის საბჭო აირჩევს თავმჯდომარეს და პრეზიდიუმს რიცხვით არა უმეტეს 25 კაცისა ქალაქ ტფილისისათვის და არა უმეტეს 15 კაცისა—დანარჩენ ქალაქებისათვის და მათ კანდიდატებს პრეზიდიუმის შედგენილობის $^{1}/_{3}$-ის რაოდენობით.

39. ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმი ასრულებს ქალაქის საბჭოს და ხელისუფლების სათანადო ზემდგომი ორგანოების დადგენილებებს და ქალაქის საბჭოს ერთი სხდომიდან მეორე სხდომამდე იგი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა ქალაქის ტერიტორიაზე ქალაქის საბჭოს უფლებათა ფარგლებში, იმ საკითხების გამოკლებით, რაც ქალაქის საბჭოს პლენუმის განსაკუთრებული გამგებლობის საგანს შეადგენს.

40. ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმი შეიკრიბება კვირაში ერთხელ მაინც.

41. ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმი:

ა) ხელმძღვანელობას გაუწევს ქალაქის საბჭოს სხდომებს;

ბ) მოამზადებს მასალას ქალაქის საბჭოს სხდომისათვის და წარუდგენს საბჭოს გადასაწყვეტად დადგენილებათა პროექტებს;

გ) თვალყურს ადევნებს ქალაქის საბჭოს დადგენილებათა აღსრულებას სათანადო ორგანოებისა და მოსახლეობის მიერ;

დ) იქონიებს ურთიერთ მიმართვას ქალაქის საბჭოს სახელით.

42. ქალაქის საბჭოთა მუშაობის ტეხნიკურად შესრულებას ტფილისში, ბათომში, სოხუმში, ქუთაისში და გორში აწარმოებენ სათანადო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებანი და ინსპექციები. ამ განყოფილებებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქისათვის შესდგება ცალკე სამეურნეო გეგმა და ცალკე ხარჯთაღრიცხვა, რაც, როგორც ნაწილი, განსაკუთრებულ საქალაქო ბიუჯეტში შედის.

**შენიშვნა.** სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებათა გამგეები დაინიშნებიან სათანადო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ ქალაქის საბჭოსთან შეთანხმებით.

43. ქალაქის საბჭოს და მისი პრეზიდიუმის ყველა დადგენილება და განკარგულება ქალაქის მმართველობის დარგში სავალდებულოა აღსასრულებლად სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის სათანადო განყოფილებისა და ინსპექციებისათვის.

44. ფოთის ქალაქის საბჭოსთან მოეწყობა სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული განყოფილებანი და ინსპექციები, სამაზრო საბჭოთა ყრილობებისა და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების დებულების (მუხ. 38) თანახმად; გარდა ამისა, ფოთის ქალაქის საბჭოსთან არსებობს ყველა დაწესებულება, რაც სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ დაწესებულებებს ეთანაბრება (იმავე დებულების 39 მუხ.)

**შენიშვნა.** ფოთის ქალაქის საბჭოსთან არსებული განყოფილებანი და ინსპექციები უფლება-მოვალეობის მხრივ გაუთანასწორდებიან სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებებსა და ინსპექციებს და მათზე თანაბრად გავრცელდება სამაზრო საბჭოთა ყრილობებისა და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების დებულების 40—43 და 45—51 მუხ. გათვალისწინებული წესები.

45. ჭიათურისა, ხაშურისა, ბორჯომისა და სამტრედიის ქალაქის საბჭოებთან საქალაქო მეურნეობის გამგებლობისათვის მოეწყობა ადგილობრივი მეურნეობის განყოფილებანი. გარდა ამისა, ჭიათურის ქალაქის საბჭოსთან დაარსდება შრომის და ჯანმრთელობის ინსპექციები.

**შენიშვნა.** ამა მუხლში აღნიშნული ქალაქების საბჭოებთან შეიძლება მოეწყოს სხვა განყოფილებანიც სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ დადგენილ საფუძველზე.

46. ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმი თავისი მოქმედების ანგარიშს ჩააბარებს ქალაქის საბჭოს პლენუმს ერთხელ მაინც ნახევარ წელიწადში.

47. ქალაქის საბჭოს პლენუმისა, პრეზიდიუმისა და სექციებისათვის უშუალო მომსახურეობის გასაწევად ქალაქის საბჭოს ჰყავს ტეხნიკური აპარატი, რომელსაც განსაზღვრავს ქალაქის საბჭო თავისი ბიუჯეტის ფარგლებში.

48. ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე განახორციელებს ქალაქის საბჭოს და მისი პრეზიდიუმის დადგენილებებსა და განკარგულებებს, თავმჯდომარეობს ქალაქის საბჭოს პლენუმისა და პრეზიდიუმის სხდომებს და ხელმძღვანელობას გაუწევს ქალაქის საბჭოს ტეხნიკური აპარატის მუშაობას.

49. გადაუდებელი შემთხვევის დროს, საბჭოს პრეზიდიუმის ერთი სხდომიდან მეორე სხდომამდე, ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეს უფლება აქვს გასცეს განკარგულება და იხმაროს საჭირო ღონისძიებანი იმ საქმეების გამო, რაც ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმის კომპეტენციას შეადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თ ა ვ ი V.

### ქალაქის საბჭოს სექციები და კომისიები.

50. საბჭოს ყველა წევრისა და მშრომელთა ფართო მასის ქალაქის საბჭოსა და მისი ორგანოების პრაქტიკულ მუშაობაში ჩასაბმელად, აგრეთვე საკითხების წინასწარ შესამუშავებლად და ქალაქის საბჭოს და მისი პრეზიდიუმის ცალკე დავალებათა ასრულებლად, ქალაქის საბჭო გაიყოფა სექციებად მეურნეობისა და მმართველობის ცალკე დარგების მიხედვით, წევრთა ნებაყოფლობითი ჩაწერის საფუძველზე, ხოლო იმ აუცილებელი პირობით, რომ საბჭოს თვითეული წევრი ერთ სექციაში მაინც იღებდეს მონაწილეობას. სექციები ხელს შეუწყობენ ქალაქის საბჭოს მუშაობას მთლიანად და აგრეთვე კონტროლს გაუწევენ საბჭოს აღმასრულებელი ორგანოების მუშაობას.

51. სექციების რიცხვსა და თვითეული მათგანის ფუნქციებს განსაზღვრავს ქალაქის საბჭო.

52. ყველა ქალაქის საბჭოსათვის სავალდებულოა მოაწყოს შემდეგი სექციები: ა) კომუნალური მეურნეობისა; ბ) საფინანსო-საბიუჯეტო; გ) სახალხო განათლებისა; დ) ჯანმრთელობისა; ე) სავაჭრო-კოოპერატიული და ვ) სასამართლო-ადმინისტრატიული.

სხვა სექციები (საბინაო, შრომისა, სამრეწველო, სოციალური უზრუნველყოფისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, სამხედრო და სხვა) მოეწყობა საბჭოს დადგენილებისამებრ საჭიროების მიხედვით.

53. საბჭოს წევრი შედის ამა თუ იმ სექციაში თავისი არჩევისამებრ.

54. სექციების შედგენილობაში საბჭოს წევრთა გარდა შედიან წევრებად გადამწყვეტი ხმის უფლებით პროფესიონალური კავშირებისა, საქარხნო-საფაბრიკო და ადგილობრივი კომიტეტებისა, მუშა-ქალთა სადელეგატო კრებებისა, ახალგაზრდათა ორგანიზაციისა, წითელი არმიისა და ცალკე საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენელნი იმ რაოდენობით, რასაც ქალაქის საბჭო განსაზღვრავს.

**შენიშვნა 1.** ქალაქის საბჭოს ან მის პრეზიდიუმს შეუძლიან ყოველი ამომრჩეველი, მისი თანხმობით, დანიშნოს ამა თუ იმ სექციაში.

**შენიშვნა 2.** სექციის ცალკე სხდომაზე მიწვეულ პირს, მაგალითად, ექსპერტს, მცოდნე პირს და სხვ., აქვს სათათბირო ხმის უფლება.

**შენიშვნა 3.** სექციის შედგენილობაში აუცილებლად შედის სათანადო ორგანოს ხელმძღვანელი (განყოფილების ან ქვე-განყოფილების გამგე).

55. საბჭოს ან პრეზიდიუმს შეუძლიან დროებით გაანთავისუფლოს ესა თუ ის დეპუტატი სექციაში მუშაობისაგან.

56. ს ე ქ ც ი ა:

ა) განიხილავს მუშაობის გეგმას და შეიმუშავებს ღონისძიებებს მეურნეობისა და მმართველობის სათანადო დარგში;

ბ) მეთვალყურეობას გაუწევს სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის შესაფერ განყოფილებათა, ინსპექციათა და თანამდებობის პირთა მოქმედებას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო მას არა აქვს უფლება ჩაერიოს მათ მუშაობაში, ე. ი. არა აქვს უფლება უშუალოდ გააუქმოს ან შესცვალოს მათი დადგენილებანი და განკარგულებანი;

გ) მოისმენს სათანადო ორგანოების ანგარიშს და მისცემს მის შესახებ დასკვნას საბჭოს პლენუმს ან პრეზიდიუმს.

დ) გაუწევს კონტროლს საბჭოს და ხელისუფლების ზემდგომი ორგანოების იმ დადგენილებათა სისწორით განხორციელებას, რომლებიც სათანადო ქალაქს შეეხება;

ე) წარუდგენს ქალაქის საბჭოს მოხსენებას ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ამა თუ იმ უკანონო ან არამიზანშეწონილი განკარგულების გაუქმების აუცილებლობის შესახებ;

ვ) გაეცნობა დაწესებულებათა, საწარმოთა და სხვ. მუშაობას მეურნეობისა და მმართველობის სათანადო დარგში;

ზ) მიუჩენს სექციის წევრებს იმ საწარმო და დაწესებულებათ, რომელნიც ქალაქს მომსახურეობას უწევენ, რათა ამ გზით ხელი შეუწყოს და მეთვალყურეობა გაუწიოს მათ მუშაობას;

თ) მოისმენს ბიუროს მოხსენებას სექციის გეგმისა და გადაწყვეტილების შესრულების შესახებ;

ი) გამოჰყოფს მუდმივ და დროებით კომისიებს საბჭოთა ქვემდებარე დაწესებულებათა და საწარმოთა მუშაობის გამოსაკვლევად და ცალკე საკითხების შესამუშავებლად;

კ) განიხილავს სექციის ცალკე წევრთა მიერ საკუთარი ინიციატივით შეტანილ პროექტებს, რაც მუშაობის სათანადო დარგს შეეხება;

ლ) განიხილავს სხვადასხვა დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და ცალკე პირთა მიერ შეტანილ ასეთსავე პროექტებს მუშაობის სათანადო დარგში;

მ) მინაწილეობას მიიღებს სათანადო აღმასრულებელი ორგანოების მიერ მუშაობის ძირითადი საკითხების პროექტებისა და გეგმების შემუშავებაში; მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე ამავე ორგანოების მიერ მოწვეულ თათბირებსა და კონფერენციებში, ჩაატარებს სათანადო აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებათა და ინსპექციათა გამოკვლევას და რევიზიას საქალაქო მუშაობის დარგში და აწარმოებს აგრეთვე ქალაქის საბჭოს ქვემდებარე ყველა დაწესებულებისა და საწარმოს გამოკვლევასა და რევიზიას.

**შენიშვნა.** გამოკვლევასა და რევიზიას სექცია აწარმოებს ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმის წინადადებით ან საკუთარი თაოსნობით, ხოლო თვითეულ ცალკე შემთხვევაში უნდა მიიღოს ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმის ნებართვა.

57. ყველა საკითხი, რაც წინასწარ შემუშავებას მოითხოვს, შეიტანება სათანადო სექციაში განსახილველად ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმის მიერ, სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებისა და ინსპექციის მიერ, ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმის მეშვეობით, და აგრეთვე სექციებისა და მათი წევრების მიერ საკუთარი ინიციატივით, რაც უნდა ეცნობოს ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმს.

58. სექციის მუშაობის საერთო განწესრიგებასა და გეგმას შეიმუშავებს სექცია ქალაქის საბჭოს მუშაობის საერთო გეგმის მიხედვით და წარუდგენს დასამტკიცებლად ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

59. სექციის სხდომა მოიწვევა კალენდარული გეგმის მიხედვით ორ კვირაში ერთხელ მაინც.

60. სექციის დადგენილებას დაამტკიცებს საბჭოს პლენუმი ან პრეზიდიუმი და განახორციელებს ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმი.

61. უკეთუ სექცია ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებას არ დაეთანხმება, მას უფლება აქვს აღძრას საკითხი საბჭოს პლენუმის მიერ განსახილველად.

62. სექცია აირჩევს თავისი წრიდან თავისივე რწმუნებამოსილების ვადით ბიუროს, რომელშიაც შევლენ თავმჯდომარე, მდივანი და წევრები, სულ არა უმეტეს 5 კაცისა.

**შენიშვნა.** ბიუროს შედგენილობაში უსათუოდ შედის საქალაქო სამუშაოს სათანადო დარგის ხელმძღვანელი, ხოლო ეს უკანასკნელი არ შეიძლება სექციის და ბიუროს თავმჯდომარედ იყოს.

63. ბიურო სექციის აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოა და პასუხისმგებელია მის წინაშე. ბიურო მოამზადებს საკითხებს სექციის პლენუმისათვის, შეჰკრეფს და სისტემაში მოიყვანს საამისოდ საჭირო მასალას, აწარმოებს სექციისა და კომისიის წევრების აღნუსხვას, კრებებზე გამოცხადებულთა აღნუსხვას, შეადგენს ანგარიშს სექციის მოქმედების შესახებ, წარმართავს დანიშნულებისამებრ სექციის დადგენილებებს, თვალყურს ადევნებს მათ შემდგომ აღსრულებას და მონაწილეობას მიიღებს თავის წარმომადგენელთა მეშვეობით ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაში სათათბირო ხმის უფლებით.

64. სექციის მუშაობის საერთო ხელმძღვანელობა ეკუთვნის ქალაქის საბჭოს პლენუმს და პრეზიდიუმს. აღნიშნული ხელმძღვანელობის განსახორციელებლად თვითოეული სექციისათვის მიჩნეულ უნდა იქნეს საბჭოს პრეზიდიუმის ერთ-ერთი წევრი.

65. იმ საერთო საკითხების განსახილველად, რაც ორ ან მეტ სექციას შეეხება, ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმის განკარგულებით შეიძლება მოწვეულ იქნეს სექციათა ბიუროებისა ან პლენუმების შეერთებული სხდომა.

## თ ა ვ ი VI.

### ქალაქის საბჭოს წევრთა უფლება-მოვალეობანი.

66. თავის მოვალეობას ქალაქის საბჭოს წევრი განახორციელებს:

ა) საბჭოს, სექციებისა და კომისიების მუშაობაში პირადი მონაწილეობით;

ბ) საზოგადოებრივი მუშაობით როგორც თავის დაწესებულებასა და საწარმოში, ისე სხვა ორგანიზაციაში;

გ) უშუალო და მჭიდრო კავშირის დამყარებით თავის ამომრჩევლებთან.

67. საბჭოს წევრი მოვალეა დაესწროს ყველა სხდომას როგორც პლენუმისას, ისე იმ სექციისას და კომისიისას, რომელშიაც იგი ირიცხება, და შეასრულოს ყველა მათი დავალება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**შენიშვნა.** უკეთუ საბჭოს წევრს არ შეუძლიან სხდომაზე გამოცხადდეს ან დავალება შეასრულოს, იგი მოვალეა ეს თავის დროზე აცნობოს საბჭოს პრეზიდიუმს ან სექციის ბიუროს და კომისიას.

68. თავის მოვალეობას საბჭოს წევრი, გარდა სხდომებში მონაწილეობისა და სექციის დავალებათა აღსრულებისა, შეასრულებს შემდეგნაირად:

ა) პირადად გაეცნობა მმართველობისა და მეურნეობის იმ დარგებს, რაც მის სამუშაოს შეეფერება:

ბ) შეიტანს თავის წინადადებას შენიშნული ნაკლის თავიდან ასაცილებლად და დაწესებულებათა და საწარმოთა ორგანიზაციისა და მუშაობის გასაუმჯობესებლად;

გ) პირადად წარუდგენს ანგარიშს ამომრჩევლებს, ექვს თვეში ერთხელ მაინც როგორც თავისი მუშაობისა, ისე კომისიისა, სექციისა და საბჭოს მუშაობის შესახებ, და ამომრჩევლების შენიშვნებსა და წინადადებებს წარუდგენს საბჭოს განსახილველად;

დ) იმუშავებს განსაზღვრულ საწარმოსა და დაწესებულებაში, როგორც მიჩენილი საბჭოს წარმომადგენელი, და იმ ამომრჩეველთა შორის, რომელნიც წარმოებითი შენაერთებად შეკავშირებულ არ არიან;

ე) თვალყურს ადევნებს საბჭოს და იმ სექციისა და კომისიის გადაწყვეტილებათა განხორციელებას, რომელშიაც ის მუშაობს, და აცნობებს სათანადო ორგანოს იმ დაბრკოლებას, რაც ამა თუ იმ გადაწყვეტილების პრაქტიკულად განხორციელების დროს აღმოჩნდება.

69. საბჭოს წევრი .შეძლებისდაგვარად მონაწილეობას მიიღებს იმ საწარმოთა და დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებისა და მოსახლეობის შეუკავშირებელი ჯგუფების ყველა საერთო და სადელეგატო კრებაში, რომელთაგან იგი არჩეულ იყო ან რომლებისთვისაც იგი მიჩენილია.

70. საბჭოს წევრი მონაწილეობას მიიღებს ადგილობრივი ხასიათის წარმოებითი თათბირებში და კონფერენციებში, რასაც მოაწყობს იმ საწარმოსა ან დაწესებულების ადმინისტრაცია, სადაც იგი მიჩენილია, და აგრეთვე ამგვარსავე თათბირებში, რომელთაც მოაწყობს პროფესიონალური და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

71. ამომრჩეველთა საზოგადოებრივი თვითმოქმედების გასაძლიერებლად ქალაქის საბჭოს წევრს დაეკისრება მოვალეობა: ა) მოახსენოს მათ განსახილველად საბჭოს, სექციისა და კომისიის მიერ გადასაწყვეტი მორიგი საკითხები; ბ) აუხსნას მათ საბჭოს გადაწყვეტილებანი და განუმარტოს მათი შესრულების წესი; გ) მიიღოს საჩივარი და პრეტენზია და აცნობოს იგი კუთვნილებისამებრ.

72. საბჭოს წევრმა უნდა აცნობოს ამომრჩევლები თავისი საცხოვრებელი და მუშაობის ადგილი, რითაც შესაძლებლობას მისცემს ყოველ ამომრჩეველს უშუალოდ მიმართოს დეპუტატს ამა თუ იმ კითხვით, პროექტით ან საჩივრით.

73. ის საწარმო და დაწესებულება, სადაც საბჭოს წევრი მსახურობს, საბჭოს ან მისი პრეზიდიუმის მოთხოვნით ვალდებულია გაანთავისუფლოს საბჭოს წევრი მუშაობისაგან იმ დროის განვალობაში, რაც საჭირო იქნება მის მიერ დეპუტატის მოვალეობის შესრულებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

74. ქალაქის საბჭოს წევრი თავის მოვალეობას საბჭოში, მის სექციაში და კომისიაში ასრულებს უსასყიდლოდ; იმ შემთხვევაში, როდესაც დეპუტატის მოვალეობას, რაც ამა დებულებით არის გათვალისწინებული, საბჭოს წევრი სამსახურის დროს შეასრულებს, დაწესებულებას, საწარმოს და ორგანიზაციას, სადაც საბჭოს წევრი მუშაობს, უფლება არა აქვს გამოურიცხოს რაიმე საბჭოს წევრ-მუშას თუ მოსამსახურეს სამუშაო ხელფასიდან და აღნიშნული დროისათვის სასყიდელი უნდა მისცეს მას წევრის საშუალო სამუშაო საშოვარის ანგარიშით.

**შენიშვნა.** ქალაქის საბჭოს წევრს, რომელიც სამსახურის სამუშაო საშოვრით არ სცხოვრობს (შინა-მრეწველი, დიასახლისი და სხვ.), სასყიდელი მიეცემა სათანადო ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დადგენილი წესისამებრ.

75. ქალაქის საბჭოს წევრს თავისი მანდატის წარდგენისას უფლება აქვს თავისუფლად და რიგს გარეშე შევიდეს ქალაქის ყველა დაწესებულებასა და საწარმოში გამოუკლებლად, და ამ უკანასკნელთა ყველა თანამდებობის პირთან, და აგრეთვე მოითხოვოს საჭირო ცნობებისა და ახსნა-განმარტების მიცემა, გარდა საიდუმლო ხასიათის ცნობებისა, რომელთა გაცემისათვის საჭიროა პრეზიდიუმის ნებართვა.

76. უკეთუ საბჭოს წევრი დროებით წავა მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან, იგი ვალდებულია თავის დროზე აცნობოს ეს საბჭოს პრეზიდიუმს.

77. ქალაქის საბჭოს წევრი არ შეიძლება დაპატიმრებულ იქნეს, უკეთუ ამის შესახებ წინასწარ არ ეცნობა ქალაქის საბწოს პრეზიდიუმს ან თავმჯდომარეს.

განსაკუთრებულ შემთხვევაში საბჭოს წევრი შეიძლება დაპატიმრებულ იქნეს, ხოლო ეს გარემოება დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პრეზიდიუმს ან თავმჯდომარეს იმ მიზეზის განმარტებით, რამაც დაუყონებელი დაპატიმრება გამოიწვია.

78. ქალაქის საბჭოს იმ წევრის მიმართ, რომელიც უმოქმედობას გამოიჩენს, მოსახლეობას უხეშად მოეპყრობა, არ დაემორჩილება ან არაგულმოდგინეთ შეასრულებს ზემდგომი ორგანოს დადგენილებას, აგრეთვე არ შეასრულებს საბჭოს, სექციისა და კომისიის მინდობილობას, ან და სისტემატიურად არ დაესწრება საბჭოს სხდომებს, ქალაქის საბჭოს შეუძლიან იხმაროს დისციპლინარული ზეგავლენის ერთ-ერთი შემდეგი ღონისძიება: გაფრთხილება, საყვედურის გამოცხადება და აღძვრა საკითხისა ამომრჩევლების წინაშე დეპუტატის უკან გაწვევის შესახებ.

## თავი VII.

### ქალაქის საბჭოს და დეპუტატების ანგარიშგების წესი ამომრჩეველთა წინაშე.

79. ქალაქის საბჭოს წევრი ვალდებულია რეგულიარულად, ხოლო ერთხელ მაინც ყოველ ექვს თვეში, ჩააბაროს ანგარიში საბჭოს მუშაობისა და საბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქოში თავისი მუშაობის შესახებ ამომრჩევლებს იმ კრებაზე, რომელიც სპეციალურად ამ ანგარიშის მოსასმენად და განსახილველად იქნება მოწვეული.

80. ამომრჩეველთა კრება მოიწვევა, ქალაქის საბჭოს განკარგულებით ან ამომრჩეველთა მოთხოვნით, სათანადო პროფესიონალური, საბჭოთა და სხვა ორგანიზაციების მიერ ერთად ან თვითეული მათგანის მიერ ცალკე.

**შენიშვნა.** იმ მოხსენებისათვის, რომელიც ისეთ საკითხებს შეეხება, რასაც მშრომელთათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მოიწვევა ამომრჩეველთა არაჩვეულებრივი კრება.

81. ანგარიშის ჩაბარების დრო და ადგილი ამომრჩევლებს უნდა ეცნობოს სამი დღით ადრე მაინც დანიშნულ ვადამდე.

82. ამომრჩეველთა კრება შემდგარად ჩაითვლება, უკეთუ მას დაესწრო სათანადო საარჩევნო ერთეულის ამომრჩეველთა ნახევარი მაინც.

უკეთუ კრებაზე ამომრჩეველთა აღნიშნული რიცხვი არ გამოცხადდა, დაინიშნება არა უადრეს სამი დღისა პირველი კრების შემდეგ, ხელმეორე კრება, რომელიც შემდგარად ჩაითვლება რამდენი ამომრჩეველიც უნდა გამოცხადდეს.

83. კრების გასაძღოლად აირჩევა პრეზიდიუმი იმ შედგენილობით, რასაც კრება საჭიროდ დაინახავს.

84. საანგარიშო მოხსენებას განიხილავს ამომრჩეველთა კრება, რომელიც გამოიტანს დადგენილებას, სადაც შეფასებული იქნება ქალაქის საბჭოს მოქმედება და საბჭოს ცალკე წევრთა მუშაობა. ამომრჩეველთა კრების დადგენილება შეიძლება შეიცავდეს:

ა) საბჭოს მუშაობის ნაკლის აღნიშვნას;

ბ) საბჭოს წევრთა მუშაობაში შენიშნული ნაკლის აღნიშვნას;

გ) გადაწყვეტილებას დეპუტატის უკან გაწვევის შესახებ.

85. ამომრჩეველთა კრებაზე შესდგება ოქმი, რომელშიაც აღინიშნება სათანადო საარჩევნო ერთეულის ამომრჩეველთა რიცხვი, კრების მონაწილეთა რიცხვი, კრების პრეზიდიუმის შედგენილობა, მოხსენების მოკლე შინაარსი, წინადადებანი მოხსენების გამო და მიღებული დადგენილებანი; თანაც უნდა აღინიშნოს ამ დადგეილებების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა რიცხვი.

ოქმს ხელს მოაწერს კრების პრეზიდიუმი და 7 დღის განმავლობაში იგი წარედგინება საბჭოს პრეზიდიუმს.

86. ქალაქის საბჭოს წევრი წარუდგენს საბჭოს პრეზიდიუმს წერილობით ან სიტყვიერ მოხსენებას მის მიერ ამომრჩეველთა კრებისათვის წარდგენილი ანგარიშის შესახებ.

87. გადაწყვეტილება დეპუტატის უკან გაწვევის შესახებ კანონიერია, უკეთუ დადგენილება მიღებულია იმ უბნის საარჩევნო კრების ხმის მარტივი უმეტესობით, სადაც დეპუტატი არჩეული იყო, თუ ამასთანავე კრებაზე მონაწილეობას იღებდა ამ უბანში გაერთიანებულ ამომრჩეველთა 50% მაინც.

გადაწყვეტილება დეპუტატის უკან გაწვევის შესახებ საბოლოოა და არ განისაჩივრება.

88. ასეთი საანგარიშო კრებების მოწვევის დამოუკიდებლად, საბჭოს წევრი გამოიყენებს თავის ამომრჩეველთა ყოველ კრებას (საერთო კრებები დაწე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებულებასა და საწარმოში, დიასახლისთა სარაიონო კრება და სხვ.), რათა გააცნოს მათ საბჭოს მუშაობა, რათა განხილულ იქნეს უუმნიშვნელოვანესი საკითხები, რაც საბჭოს, მისი სექციებისა და კომისიების წინაშე სდგას და მიიღოს ამ ამომრჩეველთაგან სათანადო განმარტებანი მუშაობის ნაკლისა და ამ მუშაობაში სასურველი გაუმჯობესების შეტანის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **შ. მათიკაშვილი.**

1928 წ. იანვრის 29.
ქ. ბათომი.

---

## 19. დადგენილება № 11 ც. ა. კ.

**საბჭოების საუკეთესო სექციათა კონკურსის განხორციელების წესის შესახებ.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის ა/წ. თებერვლის 1-ს თარიღისა და მე-2 №-რის დადგენილების განსავითარებლად და საბჭოების სექციების მუშაობიდან მიღებული გამოცდილების შესასწავლად, ნაკლულოვანებათა გამოსასწორებლად სექციების მუშაობისა და, საერთოდ, მათი მოქმედების გაღრმავებისა და ამოძრავების ხელის შემშლელ დაბრკოლებათა თავიდან ასაცილებლად და სექციებისავე მუშაობისათვის ახალი ფორმებისა და მეთოდების შესაფერებლად, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. სრულიად საქარრველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან მოწყობილ იქნეს ცენტრალური საკონკურსო კომისია ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის თავმჯდომარეობით და დაინტერესებული სახალხო კომისარიატებისა, პროფესიონალური და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციის ცენტრალური ორგანოებისა, პრესის და ქალაქის და თემის საბჭოების წარმომადგენელთა შედგენილობით; ამასთანავე კომისიის შემადგენლობიდან გამოყოფილი იქნეს მომუშავე პრეზიდიუმი.

2. საკონკურსო კომისიები მოეწყოს აგრეთვე ავტონომიურ ერთეულების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებთან; ამასთანავე წინადადება მიეცეს მათ მიიღონ თავიანთ თავზე რამდენიმე საუკეთესო სექციის პრემიით დაჯილდოვება თავისივე შეხედულებით.

3. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული ნუსხა იმ მოთხოვნილებათა, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს სექციათა საქმიანობა.

4. სექციათა მუშაობის გამოკვლევას აწარმოებენ აღმასრულებელი კომიტეტების საორგანიზაციო განყოფილებანი, ინსტრუქტორების და აღმასკომის პრეზიდიუმის წევრების მეშვეობით, აგრეთვე სახკომატები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ცენტრალური ორგანოები—(სათანადო სექციის გამოკვლევას)

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავიანთი აპარატის მეშვეობით, ხოლო პრესა—მუშგლეხკორთა ქსელის მეშვეობით.

5. ცენტრალური საკონკურსო კომისია სათანადო მასალებს მიიღებს საკონკურსო კომისიებისა, სახკომატებისა და პრესის მეშვეობით და, უკეთუ საჭირო იქნება, ცენტრალური კომისია მოახდენს სექციების მუშაობის დამატებით გამოკვლევებს ცენტრ. აღმ. კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების აპარატის მეშვეობით და პრესის წარმომადგენელთა მონაწილეობით. პრემიით დაჯილდოვების საკითხს საბოლოოდ გადასწყვეტს სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ცენტრალური საკონკურსო კომისია.

6. სექციის მუშაობის შემოწმება ამასთანავე ერთად არის სათანადო საბჭოს მუშაობის შემოწმებაც, რისთვისაც სექციების დაჯილდოვებისათვის აუცილებლად მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს მიმდინარე საანგარიშო კამპანიის შედეგები, კერძოდ განაწესების შესრულება, ამომრჩეველთა მიერ საბჭოების მუშაობის შეფასება, საანგარიშო კამპანიაში დეპუტატთა დიდი რაოდენობის ჩაბმა, საგლეხო მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაცია და სხვა.

7. საბჭოთა და პროფკავშირთა, როგორც ცენტრალურმა, აგრეთვე ადგილობრივმა ბეჭდვითი ორგანოებმა მიმდინარე კონკურსს უნდა მიაქციონ მაქსიმალური ყურადღება მუშგლეხკორების მთელი ქსელისათვის სათანადო დირექტივების მიცემით, მათი თათბირის მოწვევით და სპეციალური ფონდის შექმნით იმ კორესპონდენტთა დასაჯილდოვებლად, მიუხედავად კონკურსის შედეგებისა, რომელნიც უკეთ აღწერენ სექციათა საქმიანობას და სხვა.

8. დაევალოს ყველა დაინტერესებულ ცენტრალურ ორგანოს მისცეს ადგილებს დირექტივა მათი სათანადო ორგანოების მიერ კონკურსის ორგანიზაციულად მოწყობისა და განხორციელებაში მონაწილეობის მიღების შესახებ, რისთვისაც სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებასთან მოწვეულ იქნეს აღნიშნულ ორგანოთა წარმომადგენლების თათბირი პრაქტიკულ ღონისძიებათა შესამუშავებლად.

9. პრემიით სექციების დაჯილდოვების მიზნით ყველა დაინტერესებული ცენტრალური ორგანიზაცია (სახალხო კომისარიატები და სამეურნეო, კოოპერატიული და სხვა დაწესებულებები) გამოყოფს ფულად ან ნატურად სპეციალურ ფონდს, რაც ცენტრალური საკონკურსო კომისიის განკარგულებაში იქნება.

სრ. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრ. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივნის მაგიერ **დ. აფციაური.**

1928 წ. თებერვლის 15.
ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 20. დადგენილება № 12 ც. ა. კ.

### 21 ცალკე მესანგრე ათასეულის დაჯილდოების შესახებ.

კავკასიის წითელდროშიანი არმიის 21 ცალკე მესანგრე ათასეული უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, ზაფხულობით, მუშაობდა სვანეთის ბილიკის აღდგენისა და გაფართოებისათვის.

ამ ხნის განმავლობაში აღნიშნულმა ათასეულმა შეასრულა უდიდესი მნიშვნელობის სამუშაო: ააგო 50 ხიდი საერთო სიგრძით 660 კუბიკ. მეტრამდე. გაარღვია 6.300 კუბიკური მეტრი კლდე, გათხარა 16.000 კუბ. მეტრამდე მიწა, მოსჭრა ფრიალო კლდეებზე და ხეობებში და მიზიდა სამუშაოს ადგილას აუარებელი ხე და სხვა ტყის მასალა, აწარმოა სადურგლო, სამჭედლო და სხვა დამხმარე ხასიათის მუშაობა.

მთელი ამ სამუშაოს წარმოება კავკასიის წითელდროშიანი არმიის 21 ცალკე მესანგრე ათასეულს უხდებოდა სვანეთის ბუნების უაღრესად მძიმე პირობებში; იგი მუშაობდა დროის განუსაზღვრელად და, რადგანაც საქმე სასწრაფო იყო, დასვენების დღეებსაც-კი სწირავდა მას. ამესთანავე ათასეულმა გამოიჩინა უმაღლესი შეგნება, ძლიერი ნებისყოფა, დიდი მოხერხებულობა და იშვიათი შეუდრეკელობა ძნელ დაბრკოლებათა დასაძლევად.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს 21 ცალკე მესანგრე ათასეულის ასეთ თვალსაჩინო მუშაობას, რასაც უდიდესი საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი დო პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს საქართველოს სსრ მშრომელთათვის და კერძოდ სვანეთისათვის, უცხადებს აღნიშნულ ათასეულს თავის განსაკუთრებულ მადლობას და აჯილდოებს მას წითელი დროშის შრომის ორდენით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართვ. საბჭოთა ცენტრალური აღმა-
სრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ **აფციაური.**

1928 წ. თებერვლის 24.
ტფილისი—სასახლე.

---

## 21. დადგენილება № 13 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

### სისხლის სამართლის კოდექსის 143 მუხლის შევსების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-რის დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსის 143 მუხლს დაემატოს მეორე ნაწილი შემდეგი შინაარსისა:

აკრძალულ დროს ნანადირევის ყიდვა ან გაყიდვა გამოიწვევს ადმინისტრატიული წესით

იძულებით მუშაობას ერთ თვემდე ან ჯარიმას ას მანეთამდე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ხ. ჯუღელი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **შ. მათიკაშვილი.**

1928 წ. თებერვლის 24.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 47 №-ში 1928 წ. თებერვლის 25.

---

# სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

## 22. დადგენილება ს. კ. ს.

### სასესხო პროცენტის უკიდურესი ნორმის შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მევახშეობის შესახებ 1927 წლის აგვისტოს 17-ის თარიღით გამოცემული დადგენილებისა (სსრკ კან. კრებ. 1927 წ. № 48 მუხ. 490) და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 212 მუხლის შენიშვნის თანახმად—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს როგორც ფულადი, ისე ქონებრივი სასესხო ხელშეკრულების პროცენტის უკიდურეს ნორმად წლიური 24%.

2. სასესხო გარიგებით აღნიშნულ უკიდურეს ნორმაზე მეტი პროცენტის გადახდევინება დევნილ იქნება სისხლის სამართლის წესისამებრ—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 199 მუხლის თანახმად.

3. მიენდოს აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და აჭარისტანის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოებს და აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს დააწესონ პროცენტის უკიდურესი ნორმა სასესხო ხელშეკრულებისათვის იმ ფარგლების მიხედვით, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული 1927 წლის აგვისტოს 17-ის დადგენილების მე-2 მუხლში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. დადგენილება ესე და აგრეთვე აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის და აჭარისტანის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი, რაც ამა დადგენილების მე-3 მუხლის თანახმად უნდა გამოიცეს, შეტანილ იქნეს სამოქალაქო სამართლის კოდექსში 212 მუხლის დანართის სახით.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. სახ. კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭოს რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. სტეფანოვი.**

1928 წ. თებერვლის 29.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს 51 №-ში 1928 წ. მარტის 2.

---

## 23. დადგენილება ს. ქ. ს.

**1928 წ. მარტის 6-დან ივნისის 1-მდე მდ. მტკვარში ორაგულის დაჭერის აკრძალვის შესახებ.**

ორაგულის ხელოვნურად მოშენებისათვის საჭირო ღონისძიებათა უზრუნველსაყოფად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აეკრძალოს ყველა მოქალაქეს და ორგანიზაციას, აზერბაიჯანის სსრ მიწათმოქმედების ბაქოს იხტიოლოგიური ლაბორატორიის გარდა, 1928 წლის მარტის 6-დან ივნისის 1-მდე მდინარე მტკვარში, აზერბაიჯანის სსრ საზღვრიდან დაწყებული ვიდრე ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის საგუბრამდე, ორაგულის ჭერა.

2. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის $102^{4}$ მუხლისამებრ (სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. თებერვლის 7-ს დადგენილების რედაქციით, კან. კრ. მე-3 №-რი, მუხ. 42).

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგ. **ს. სტეფანოვი.**

1928 წ. მარტის 5.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 54 №-ში 1928 წ. მარტის 6.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 24. დადგენილება ს. კ. ს.

**1928 წლის გაზაფხულზე მოსალოდნელ წყალდიდობასთან და მის შედეგებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.**

1928 წლის გაზაფხულზე წყლის ადიდების გამო მოსალოდნელ სტიქიურ უბედურებასთან საბრძოლველად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. 1928 წლის გაზაფხულზე მოსალოდნელ წყალდიდობასთან და მის შედეგებთან საბრძოლველად მოეწყოს საგანგებო კომისია, რომელშიაც შევლენ: თავმჯდომარედ—შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი—ლ. ბერია და წევრებად: საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსი ამხ. ბახტაძე, ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველოს უფროსი—ამხ. კაციტაძე და ერთი წარმომადგენელი ამიერკავკასიის რკინის გზის გამგეობისა.

II. წინადადება მიეცეს სამაზრო და სათემო აღმასრულებელ კომიტეტებს დაუყონებლივ მოაწყონ ადგილობრივ, იმავე მიზნით, სპეციალური კომისიები (სამეულები), რომელნიც იმოქმედებენ ამა დადგენილების 1-ლ კარში აღნიშნული საგანგებო კომისიის დირექტივების თანახმად.

III. შრომის კანონთა კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად შემოღებულ იქნეს მიმდინარე 1928 წ. გაზაფხულზე, წყალის ადიდების პერიოდის განმავლობაში, შრომის ბეგარა თემისა ან ცალკე სოფლის მოსახლეობისათვის წყალდიდობასთან და მის შედეგებთან საბრძოლველად ამა თუ იმ სამუშაოს შესასრულებლად, შემდეგ საფუძველზე:

1. შრომის ბეგარის მოსახდელად შეიძლება გაწვეულ იქნეს, შემდეგ (2) მუხლში აღნიშნული გამონაკლისით, მთლად შრომის უნარიანი მამრობითი სქესის მოსახლეობა, ასაკით 18-დან 45 წლამდე, რომელიც თემში ან სათანადო სოფელში მუდმივ სცხოვრობს.

2. სავალდებულოა შრომის ბეგარისაგან განთავისუფლება ყველა იმ პირისა, რომელიც წითელ არმიისა და ფლოტის ნამდვილ სამსახურში იმყოფება, აგრეთვე იმ პირისა, რომელიც განთავისუფლებულია შრომის ბეგარაზე გაწვევისაგან შრომის კანონთა კოდექსის მე-13 მუხლის თანახმად.

დამატებით გამონაკლისებს და შეღავათებს, ჯანმრთელობისა, ოჯახური და სამსახურებრივი ძდგომარეობისა, სამუშაოს ხასიათისა და ყოფა-ცხოვრებისა და სხვა ადგილობრივი პირობების მიხედვით,—დააწესებს თემის აღმასრულებელი კომიტეტი.

3. პირადი შრომის გარდა, ყველა იმ თემისა თუ სათანადო სოფლის მცხოვრები, რომლის მოსახლეობაც გაწვეულია შრომის ბეგარაზე, მოვალეა გადასცეს თემის აღმასრულებელ კომიტეტს ან სათანადო სოფლის საბჭოს, მის მიერ შრომის ბეგარის შესრულების განმავლობაში (მუხ. 4), თავისი საკუთარი მუშა-საქონელი და საჭირო ტვირთზიდვის ტრანსპორტი და ინვენტარი, ხოლო არა უმეტეს ორი სული საქონლისა თვითეულ მეურნეობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. სოფლის მცხოვრებნი მოიხდიან შრომის ბეგარას მორიგეობით, რასაც დააწესებს თემის აღმასრულებელი კომიტეტი იმ ვარაუდით, რომ თვითეული პირის სამუშაო დღის რიცხვი გაზაფხულზე წყლის ადიდების პერიოდში 3 დღეს არ აღემატებოდეს, რამდენადაც ეს შესაძლებელია.

5. მოსახლეობის ფაქტიური გამოყენება შრომის ბეგარისათვის საჭირო სამუშაოს შესასრულებლად მოხდება მაზრისა თუ თემის აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, რასაც იგი გამოიტანს როგორც თავისი ინიციატივით, ისე საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს ან მისი ადგილობრივი ორგანოების მოთხოვნით.

6. მას, ვინც თავს აარიდებს შრომის ბეგარის შესრულებას, დაედება ადმინისტრატიული წესით, სათანადო თემის აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებისამებრ, პირველად ფულადი ჯარიმა 5 მანეთამდე ან იძულებითი მუშაობა 5 დღემდე.

ხოლო, უკეთუ იგი ამას განიმეორებს ან შრომის ბეგარის ასრულებას დაჟინებით თავს აარიდებს,—პასუხისგებაში იქნება მიცემული სისხლის სამართლის წესით სისხლის სამართლის კოდექსის 79 მუხ. თანახმად.

7. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ საგანგებო კომისიას დაევალება ერთი კვირის ვადაზე გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების შესაფარდებლად.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის თან. აღმ. **ს. სტეფანოვი.**

1928 წ. მარტის 8.
ტფილისი—სასახლე.

---

## 25. ႣႠႣႢႤႬႨႪႤႡႠ ს. ქ. ს.

### სამუშაო საათების განმავლობაში თათბირებისა და კრებების მოწვევის აკრძალვის შესახებ.

ზოგიერთი სამეურნეო და სავაჭრო ორგანომ განცხადება შემოიტანა იმის გამო, რომ მათ ნორმალურ მუშაობას აბრკოლებს ამა თუ იმ დაწესებულების მიერ სამუშაო დროის განმავლობაში გამართულ სხვადასხვა თათბირსა და კრებაში მონაწილეობის მიღების საჭიროება; საადმინისტრაციო-სამეურნეო საგამგებლო ხარჯების შემცირების შემდეგ ყველა თანამშრომელი დატვირთულია მუშაობით და არ შეუძლიან მიატოვოს იგი საქმისათვის ზიანის მიუყენებლად; ამის შედეგია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვათა შორის, მაზრებიდან ჩამოსულ მომუშავეთა და კერძო მთხოვნელთა დაყოვნება, რადგანაც შეუძლებელი ხდება მათი თხოვნების თავის დროზე დაკმაყოფილება; ამის გამო საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ყველა სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოს, აგრეთვე კოოპერატიულ ორგანიზაციას—ის თათბირი და კრება, რომელზედაც მოწვეულ უნდა იქნენ სხვა დაწესებულებისა და საწარმოს წარმომადგენელნი, გამართოს მხოლოდ საღამოობით.

2. სამუშაო საათების განმავლობაში აღნიშნული თათბირი და კრება შეიძლება გაიმართოს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც საკითხი სასწრაფო ხასიათისაა და არ გადაიდება სხვა დროისათვის.

3. ამასთანავე წინადადება მიეცეს ყველა სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოს ზედმიწევნით განახორციელოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1924 წლის აპრილის 26 თარიღისა და 13 №-რის დადგენილება—ყოველკვირეული დასვენების შესახებ საბჭოთა დაწესებულებებში.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართ. მოადგ. **ს. სტეფანოვი.**

1928 წ. მარტის 11.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 61 №-ში 1928 წ. მარტის 15.

---

## 26. დადგენილება ს. ქ. ს.

### „ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების დებულების“ 29 მუხლის შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. დეკემბრის 28-ს დადგენილებით დამტკიცებული ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების დებულების (საქ. სსრ. კან. კრ. 1927 წ. მე-12 №-რის მუხ. 176) 29 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ტყის წესების იგივე დარღვევანი ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეებში, უკეთუ ღირებულება უკანონოდ მოჭრილი, გატაცებული ან დაზიანებული ტყისა და ხე-ტყის მასალისა, ადგილობრივი ნიხრით, 15 მან. აღემატება, დევნილი უნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იქნეს სასამართლო წესით სათანადო სარაიონო სახალხო სასამართლოს მეშვეობით, სისხლის სამართლის კოდექსის 102 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად“.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოვალ. ალმასრ. **ს. სტეფანოვი.**

1928 წ. მარტის 15.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 62 №-ში 1928 წ. მარტის 16.

---

საქართველოს სახელმწიფო
ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
მთავლიტი № 566. ტირაჟი 1.500.